ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№8 (6554) 25 თებერვალი ხუთშაბათი 1993 წელი

მეომარი

## გოლიათი მებრძოლებს

„ვაჟკაცად შვილის გამზრდელს დედას მიცვნია გმირადა."

მართლაც რომ დიდებულად უთქვამს სულმნათს ეს სიტყვები და შთაგონებია ქართველი დედისთვის შვილების მამულის დამცველ გმირად აღზრდის სულისკვეთება.

ვფიქრობ, ამ დიდებული შთაგონებით იყო გამსჭვალული სოფელ ლაილაშის მკვიდრი, ამავე სოფლის საკრებულოს მდივანი, ქალურ-ქალობით და საჭირო შემთხვევაში ვაჟკაცური შემართებით სახელგანთქმული ნელი სამსონის ასული ჩორგოლიანი, მართლაც სახელოვანი, მამულის სიყვარულით გულანთებული, ვეფხვივით ვაჟკაცი რომ აღუზარდა სამშობლოს. მისი ოჯახი სამშობლოს დამცველთა უბადლო ტრადიციისაა. დაიწყო თუ არა ომი ფაშისტურ გერმანიასთან, ოჯახის მამა ლაილაშის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მტრისთვის სამაგიეროს ზღვევით გულანთებული გამგზავრებულა ფრონტზე. შინ დარჩენილი ჩვილშვილიანი მეუღლისათვის ორი სიტყვა იქედიანად შეუძახნია: არ შეშინდე, შვილებს კარგად მოუარე, შინ ვალმოხდილი დავბრუნდებიო. ვერ აუსრულებია მეუღლისთვის მიცემული სიტყვა, ბრძოლის ველზე გმირის სიკვდილით დაცემულა, ველარ დაბრუნებულა.

ის ურჩევნია მამულსა...

ჯობნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ღირსეულ წინაპარს მართლაც ღირსეული შთამომავლობით გაუგრძელდა ოჯახი. მსოფლიო ომის ქარცეცხლს შეწირული ვაჟკაცის ვარლამ ჩორგოლიანის შვილიშვილი თენგიზ გურამის ძე ჩორგოლიანი მთელ სოფელში გამორჩეული ჭაბუკია. სამხედრო სავალდებულო სამსახურში ყოფნის დროს შეისისხლხორცა სამშობლოს სიყვარული. იქიდან პირნათლად დაბრუნებულა, პროფესიით ინჟინერმა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ერთ-ერთ განყოფილებაში დაიწყო ინჟინრად მუშაობა. შემდეგ კვლავ ქვეყნის სამსახურში არჩია ყოფნა და გვარდიის ოფიცრად ქუთაისის სამხედრო ნაწილში ჩაეწერა.

...ავად მოსაგონარი 1991 წლის დეკემბრის ბოლო დღეები. პრეზიდენტის მომხრეებისა და ოპოზიციის დაპირისპირება, ყველა ქართველი მამულიშვილის სატკივარი, ძმათაშორის ულმობელი შერკინება, დაძაბულობა, გულისშემზარავი შებრძოლება, ძვალისა და რბილის გამყინავი სინანულით გასროლილი ტყვიები, მტრის დენილ მოძმეებს რომ ხვდებოდაგიერ მტრად ქცეულ, გზასაცდა..დიან, ამ დასანან ბრძოლაში ოპოზიციის მხარეზე იდგა და იბრძოდა თენგიზ ჩორგოლიანი. მოძმის მიერ ნასროლმა ტყვიამ ორივე მუხლის სახსარი გაუცხრილა თენგიზ ჩორგოლიანს, დედისერთა ვაჟკაცს, მთავრობის სახლის წინ დაჭრილი მაშველებს აუყვანია და თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოუთავსებიათ. გაუძნელდა ჭრილობების მოშუშება. ფეხზე დადგა თუ არა, თავისი არ დაიშალა, კვლავ დაუბრუნდა სამხედრო ნაწილს, ხელჯოხით დადიოდა ერთხანს, მაგრამ თავის საქმეს

(დასასრული მე-2 გვერდზე).

## ზამთარი ჩვენი მღელვარებისა..

ტელევიზიითა და რესპუბლიკური პრესის საშუალებით სინოპტიკოსებმა გრძელვადიანი ამინდის პროგნოზის გადმოცემისას გვამცნეს, რომ ამჟამად ამიერკავკასიაში და მათ შორის საქართველოში კასპიის ზღვის მხრიდან შემოიჭრა ჩრდილო-დასავლეთიდან წამოსული ჰაერის მასები, რომლებმაც შემოიტანეს სინესტე, რამაც მთელს საქართველოში გამოიწვია ნალექი თოვლის სახით, დაეცა ჰაერის ტემპერატურა 10-15 გრადუს ყინვამდე. ზოგან უფრო დაბლაც. გრძელვადიანი პროგნოზით კვლავ თოვაა მოსალოდნელი, შემდეგ კი ყინვები.

ჩვენს რაიონში თითქმის ყოველ მეორე დღეს თოვს. მაღალმთიან სოფლებში ნაცურალეში, ნაკვერში, ცხუკუშერში, ლაილაშში, თაბორში, ისუნდერში და სხვაგან თოვლის საფარმა 2,5 მეტრს გადააჭარბა, თვით რაიონის ცენტრსა და მეზობელ სოფლებში თოვლის სიმაღლემ 1,5 მეტრს მიაღწია.

თებერვლის თვის ცალკეულ დღეებში ყინვამ 15 გრადუსს გადააჭარბა. მეტეოროლოგიური ცენტრის ცაგერის დაკვირვების პუნქტის ცნობით ყველაზე დაბალი ტემპერატურები აღინიშნა პირველ დეკადაში.

როგორც ამინდის გრძელვადიანი პროგნოზით იყო ცნობილი, თებერვლის მეორე-მესამე დეკადაში კვლავ ცუდი ამინდები გაგრძელდებოდა. პრაქტიკულად სრულდება. ყინვების

### დიდთოვლობა, მეწყრები...

შემდეგ 18 თებერვალს კვლავ კვლავ დაიწყო თოვა. მაღალმთიან სოფლებში ნახევარ მეტრზე მეტი თოვლი მოვიდა, დაიკეტა ცაგერი-ორბელის გადასასვლელი. შეფერხდა მოძრაობა ცაგერი-ქუთაისის ტრასაზე, მეტ წილ სოფლებთან დამაკავშირებელი გზები ისევ დაკეტილია, ჭირს მოძრაობა.

ოდნავ დათბობისას თუ წვიმის წამოსვლისას წარმოიშვა მეწყრები. სოფელ ჩქუმში გაჩენილი მეწყერი წელიწადით მუქარება სოფლის ერთ ნაწილში მცხოვრებთ. ცაგერი-წიფერჩის საავტომობილო გზის გუმარეშის უბანში კვლავ დაიძრა მიწის უზარმაზარი მასა და დანგრევით ემუქრება მოსახლეობას. ხშირად ჩამოდის თოვლის ზვავები სარეწკელასა და ლაძგვერიის მიდამოებში.

გაზაფხული მოახლოვდა, მაგრამ ამინდი ჭირვეულობს. თუ ასე გაგრძელდა მარტის თვეში, სოფელში საგაზაფხულო სამუშაოები დაგვიანდება, ამიტომ საჭიროა თითოეული დღე გამოვიყენოთ მაქსიმალურად. ამჟამად შეიძლება საზოგადოებრივ თუ კერძო მფლობელობაში არსებული ტექნიკა შეკეთდეს, რათა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს შევხვდეთ მომზადებული.

თოვლის ასეთი დიდი მასის დადნობა წარმოშობს მეწყრებს, ზვავებს, საფრთხეს შეუქმნის სოფლებს, მოსახლეობას, სხვა კომუნიკაციებს.

საჭიროა სასოფლო საკრებულოების გამგეობებმა მეტი სიფრთხილე და ორგანიზებულობა დაუპირისპირონ მოსალოდნელ საფრთხეს.

რაიონულ საკრებულოში

# დამტკიცდა რაიონის ბიუჯეტი

ცაგერის რაიონული საკრებულოს გამგეობამ განიხილა საკითხი „ცაგერის რაიონის 1993 წლის პირველი კვარტალის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებისა და 1992 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ".

სხდომაზე საკითხი შემოიტანა საფინანსო განყოფილების გამგემ ნ. ბერაძემ. კამათში მონაწილეობა მიიღეს რაიონისა და რაისაავადმყოფოს მთავარმა ექიმმა მ. თოთაძემ, საქალაქო საკრებულოს გამგებელმა გ. ყურაშვილმა, განათლების განყოფილების გამგემ ბ. ხმელიძემ, კომუნალურ საწარმოთა კომბინატის მთავარმა ინჟინერმა გ. სალინაძემ, სამოქალაქო თავდაცვის რაიონული შტაბის უფროსმა გ. ჩიქოვანმა და სხვებმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკასა და რაიონში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა ის, რომ ამჟამად მტკიცდება მხოლოდ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტი და არა მთელი წლის.

რაიონის 1992 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში დაზუსტებული გეგმის მიმართ საერთო მაჩვენებლებში შესრულებული იყო 115,7 პროცენტით, ნაცვლად დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული 44452,9 ათასი მანეთისა მიღებულია 51426,0 ათასი მანეთის შემოსავალი.

რაიონის 1992 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების გეგმები 100 და მეტი პროცენტით იყო შესრულებული 12 დასახელებაში. გეგმის ზევით მიღებულია შემოსავლები: დამატებული ღირებულების, საწარმოების მოგების, კოოპერატივების მოგების, სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადიდან და სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავლებიდან.

გეგმა არ შესრულდა შემოსავლების დასახელების 3 სახეში. გეგმის შესრულებას დააკლდა კომერციული ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადში 8,8 ათასი მანეთი, სახელმწიფო ბაჟის გეგმის შესრულებას 22,1 ათასი მანეთი, შენობის მფლობელთა გადასახადს 0,9 ათასი მანეთი.

რაიონის 1992 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაზუსტებული გეგმა გასავლის ნაწილში შესრულდა 96,1 პროცენტით. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 46027,9 ათას მანეთს. ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა 44474,1 ათასი მანეთი, საიდანაც სახალხო მეურნეობის ღონისძიებებზე დაიხარჯა 2752,0 ათასი მანეთი, სოციალ-კულტურულ ღონისძიებებზე 29949,0 ათასი მანეთი, მმართველობითი ორგანოების შენახვაზე 3855,5 ათასი მანეთი, ხოლო სხვა ხარჯებში 2656,6 ათასი მანეთი.

რაიონული საკრებულოს გამგეობამ დაამტკიცა ცაგერის რაიონის 1993 წლის პირველი კვარტალის ადგილობრივი ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში 31230 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 31230,0 ათასი მანეთის ოდენობით.

1993 წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტის შემოსავალში გათვალისწინებულია მიღებულ იქნას საწარმოების მოგებიდან გადასახადი 111,0 ათასი მანეთი, დამატებით ღირებულებაზე გადასახადი—645,0 ათასი მანეთი, კოოპერაციული

(დასასრული მე-2 გვერდზე).

## განმარტება

გაზეთ „ლეჩხუმის" 1993 წლის 11 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „თუ ყაირათიანად არ მოვიქეცით", სადაც სხვა ფაქტებთან ერთად მითითებულია, რომ გასულ წელს პურის ფქვილების რეალიზაციაში დაშვებული არის დარღვევები და ამოღებულია ბიუჯეტში 116166 მანეთი, რის შესახებ ხშირად გვირეკავენ დაინტერესებული პირები, ხომ არ შეეხება წერილი 1992 წლის ნოემბერ-დეკემბრის და 1993 წელს პურის ფაქტიურ რეალიზაციას.

განვმარტავთ, რომ საგაზეთო მასალა შეეხება კონტროლის პალატის მიერ 1992 წელს გაწეულ მუშაობას და, ბუნებრივია, მასში მოყვანილია გასულ წლებში მომხდარი ფაქტები. შემოწმების მასალები შეეხება პურის ფქვილის რეალიზაციაში 1991 წლის III და IV კვარტალში დაშვებულ დარღვევებს.

ცაგერის რაიონის კონტროლის პალატა.

## რაიონულ საკრებულოში

# დამტკიცდა რაიონის ბიუჯეტი

(დასასრული).

ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადი—6,0 ათასი მანეთი, კოოპერატივების მოგებიდან გადასახადი—5,0 ათასი მანეთი. საშემოსავლო გადასახადი—950,0 ათასი მანეთი, სახელმწიფო ბაჟიდან—11,0 ათასი მანეთი, შენობის მფლობელთა გადასახადიდან—8,0 ათასი მანეთი. სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავლებიდან—180,0 ათასი მანეთი.

რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის შემადგენლობაში გათვალისწინებულია სოფლის საკრებულოების ადგილობრივი ბიუჯეტები შემოსავლების ნაწილში 13259,5 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 13259,5 ათასი მანეთის მოცულობით. მათ შორის ალვის საკრებულოს ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 411,4 ათასი მანეთით. ნაკურალეშის—194,8 ათასი მანეთით, უსახელოს—375,8 ათასი მანეთით, წიფერჩის—1224,6 ათასი მანეთით, ლუხვანოს—514,7 ათასი მანეთით, ოყურეშის—634,0 ათასი მანეთით, ზუბის—823'5 ათასი მანეთით, ტვიშის—894,7 ათასი მანეთით, ღვირიშის—895,5 ათასი მანეთით, ლასურიაშის—1091,7 ათასი მანეთით, ლაილაშის—853,7 ათასი მანეთით, ალპანის—1409,4 ათასი მანეთით, ორბელის—2288,3 ათასი მანეთით, ქვედა ცაგერის—1647,9 ათასი მანეთით, ქალაქის საკრებულოს—7541,8 ათასი მანეთით.

ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ხარჯების საერთო მოცულობიდან სახალხო მეურნეობის ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდეს 6001,9 ათასი მანეთი, ხოლო სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას—21858,1 ათასი მანეთი, საიდანაც განათლების ხაზით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 14658,8 ათასი მანეთი, კულტურის ხაზით—2274,0 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე დაიხარჯება 4807,3 ათასი მანეთი, ფიზკულტურისა და სპორტის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია—38 ათასი მანეთი.

# ბოლომდე იბრძოლებს

(დასასრული).

მაინც არ ღალატობდა.

...კვლავ ბრძოლის ველზე.

არ დაისვენა ვერაგობამ და მუხანათობამ. აფხაზმა სეპარატისტებმა რომ შეუტიეს გაგრასა და სოხუმ-ოჩამჩირეს, თენგიზ ჩორგოლიანს კვლავ არ დაუდგა გული ნაწილში და ბრძოლის ველს მიაშურა. იბრძოდა ოჩამჩირეშიც. შემდეგ დაევალა ხიდების აღდგენაში და მის დაცვაში მონაწილეობა, პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. სინანულით იგონებს ძმათა მკვლელ ომში საზარელ სურათებს, მუხანათურ თავდასხმებს, გული სევდით ევსება.

ორი თვალხატულა ვაჟის ახალგაზრდა მამა ამჟამად ქუთაისის სასწრაფო რეაგირების შტაბის უფროსის მოადგილეა. აწუხებს ნაიარევი, მაგრამ გადაწყვეტილი აქვს კვლავ ბრძოლის [illegible] და ბოლომდე იბრძოლოს საქართველოს დასაცავად.

თენგიზ ჩორგოლიანი საქმით, პირადი მაგალითით და ბრძოლაში აქტიური მონაწილეობით ავლენს სამშობლოსადმი სიყვარულს, საკუთარი სისხლისა და რისკის ფასად თავისი წვლილი შეაქვს ერთიანი დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის საქმეში.

უფალს ვავედრებ ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას, მალე მოეღოს ბოლო ძმათამკვლელ საზარცხვინო ომს და ქართველ კაცს ქართულ მიწაზე უშიშრად და ბედნიერად ეცხოვროს.

**პაშა გოლეთიანი,**
ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგი.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ ეროვნული თავდაცვის ფონდში.

## სამოქალაქო თავდაცვა

# სტიქიური უბედურებანი

ამ სტატიით მკითხველს გვინდა გავაცნოთ იუნესკოს პროგრამის „ადამიანი და ბიოსფერო" საქართველოს ეროვნული კომიტეტისა და საქართველოს რესპუბლიკის ასოციაცია „ბიოსფეროს" სერიული გამოცემის შინაარსი, რომელიც მიზნად ისახავს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის თანამედროვე გლობალური და რეგიონალური პრობლემების წარმოჩენას, ამ მიმართულებით მსოფლიოს გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარებას.

იუნესკომ 1991 წლიდან 2000 წლამდე ათწლეული პერიოდი გამოაცხადა ბუნებრივი კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების ათწლეულად. ჩვენთან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სულ ახლახან მომხდარი კატასტროფები—ადამიანთა მსხვერპლითა და მატერიალური ზარალით—იმის მიმანიშნებელია, რომ ეს პრობლემა კვლავაც აქტუალურია, დედამიწა გააქტიურდა!

კარგადაა ცნობილი, რომ წინასწარი გამაფრთხილებელი ღონისძიებანი მნიშვნელოვნად ამცირებს სტიქიურ უბედურებათა შედეგებს. რის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სანფრანცისკოში მომხდარი მიწისძვრა, რომელიც თავისი სიძლიერით სპიტაკის მიწისძვრას ბევრად არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ ზარალი გაცილებით ნაკლები იყო. ახლა ჩვენთანაც იმძლავრა სტიქიამ და ბევრია პოტენციურად საშიში ზონა. წინამდებარე წერილი მიზნად ისახავს იმ წესების გაცნობას, რომელიც თავიდან აგვაცილებს ან მნიშვნელოვნად შეამცირებს მოსალოდნელ საშიშროებას, მსხვერპლსა და ზარალს მიწისძვრის, წყალდიდობისა და სხვა სტიქიური უბედურებების დროს.

სტიქიურ უბედურებათა ცხრა მეათედი შეიძლება ოთხ ჯგუფად დაიყოს: 1. წყალდიდობა, რომელზეც მოდის ყველა სტიქიური უბედურებისაგან მიყენებული ზარალის 40 პროცენტი, 2. ტროპიკული ციკლონები—20 პროცენტი, 3. მიწისძვრა—15 პროცენტი და 4. გვალვა—15 პროცენტი.

უკანასკნელ საუკუნეში მიწისძვრისა და ქარიშხლისაგან დაიღუპა 2 მილიონამდე ადამიანი.

სტიქიურ მოვლენებს შორის სამწუხარო „რეკორდი" წყალდიდობას აქვს დამყარებული. გაეროს მონაცემებით თუ ბოლო საუკუნეში წყალდიდობის გამო დაიღუპა 9 მილიონამდე ადამიანი, მიწისძვრების და ქარიშხლების გამო 2 მილიონამდე ადამიანია დაღუპული. 1959 წელს ჩრდილო დასავლეთ ჩინეთში მომხდარმა წყალდიდობამ იმსხვერპლა 2 მილიონამდე ადამიანი, ასევე უდიდესი ზარალით აღინიშნა ბენგალიის ყურეში 1970 წლის წყალდიდობა, რომლის დროსაც დაიღუპა 1 მილიონამდე ადამიანი. გარდა ადამიანთა მსხვერპლისა, უდიდესია მატერიალური ზარალი, რომელიც გამოწვეულია წყალდიდობით.

წყალდიდობა წლის ყველა დროშია მოსალოდნელი, ხშირად წყალდიდობის მიზეზია სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების ნგრევა მათი არასაკმარისი საიმედოობის გამო. ჩინეთში მდინარე ხუანხესა და იანცზე დამცავი ზვინულების (დამბების) გარღვევის შედეგად 1887 წელს დაიღუპა 900 ათასი, 1931 წელს კი—1 მილიონი ადამიანი.

კატასტროფული მიწისძვრები წყალდიდობებს „ეჯიბრება" მიყენებული ზარალის სიდიდითა და სიმძაფრით. მხოლოდ, მათგან განსხვავებით ის უეცრად, ვერაგულად თავს ესხმის ადამიანებს, მიწის შეუმჩნეველი რხევებიდან დამანგრეველ ბიძგებამდე სულ რამდენიმე წამი გადის, ამ დროს მხოლოდ ერთეულები ახერხებენ გაქცევას შენობიდან და ისიც მხოლოდ I-II სართულიდან. ამის გამო მიწისძვრა ითვლება მძიმე კატასტროფად, რომელიც ხშირად ადამიანთა დიდ მსხვერპლს იწვევს. სპეციალური ლიტერატურის მონაცემებით დედამიწაზე ბოლო ხუთი საუკუნის განმავლობაში მიწისძვრებისაგან დაიღუპა 4,5 მილიონი ადამიანი.

სტიქიური მოვლენები (მიწისძვრები, წყალდიდობები, ღვარცოფები და მეწყრები) ფართოდ ვრცელდება საქართველოს ტერიტორიის უდიდეს ნაწილზეც. საზოგადოებრიობა შეშფოთებულია უკანასკნელ პერიოდში სტიქიური მოვლენების გახშირებით, მათგან მიყენებული ზარალის ზრდითა და მსხვერპლით.

სულ ახლახან წარმოუდგენელი უბედურება დაატყდა საქართველოს მშვენიერ კუთხეს რაჭას, თვალწარმტაც ზემო იმერეთს, მრავალჭირნახულ შიდა ქართლის რაიონებს—მეტად ძლიერი მიწისძვრა, რომელიც თავისი სიმძლავრით არ ჩამოუვარდებოდა უკანასკნელ პერიოდში გახმაურებულ სპიტაკის (1987 წლის 7 დეკემბერი) და კალიფორნიის შტატის ლომა კრიეტის (1989 წლის 17 ოქტომბერი) მიწისძვრებს. თვალის დახამხამებაში სტიქიამ დაანგრია საცხოვრებელი სახლები, სკოლები, ეკლესიები, ადმინისტრაციული, სამედიცინო, საპრეწველო და სხვა სახის შენობა-ნაგებობანი, დაიღუპა ათეულობით ადამიანი. ლია ცისქვეშ აღმოჩნდა სტიქიას გადარჩენილი ათი ათასობით დიდი თუ პატარა, დანაპრალდა, დაიმეწყრა და დაიბზარა სავარგულები, ფერდობები, გზები, არის სოფლები, რომელთა მხოლოდ სახელებიღა დარჩა.

დადგენილია, რომ ამჟამინდელი სეისმური მოვლენები განმეორდა წინანდელ ეპიცენტრულ ზონაში, რომელიც მოიცავს რესპუბლიკის ტერიტორიის დაახლოებით 600 კვადრატულ კილომეტრს. დამანგრეველმა ძალამ 9 ბალამდე მიაღწია.

ადამიანთა მსხვერპლი იშვიათადაა გამოწვეული მიწის უშუალო ძვრებით და ბიძგებით. მიწისძვრის დროს ადამიანები იღუპებიან და სახიჩრდებიან იმ შემთხვევაში, როდესაც შენობის ნანგრევებში ყვებიან. დაეცემათ კედლის ნანგრევები, ქვები, აგურები, მინის ნამსხვრევები. ხშირად ადამიანები ნოსაპირკეთებელი ფილების, ბანქაშის, მძიმე საგნების ვარდნის მსხვერპლნი ხდებიან. დაღუპვის მიზეზი არც იშვიათად ხანძარია, რომელსაც ელექტროგაყვანილობის, გაზგაყვანილობის მწყობრიდან გამოსვლა იწვევს.

სპიტაკში დატრიალებული ტრაგედიის დროს ადამიანთა ესოდენ დიდი მსხვერპლის ძირითად მიზეზად მიაჩნიათ ის, რომ იქ სუსტი იყო სახლების სეისმომედეგობა, კონსტრუქციები, დაბალი იყო ბეტონის სიმტკიცე. ხშირ შემთხვევაში შენობათა პროექტებში დაშვებულმა შეცდომებმაც შეუწყვეს ხელი ნგრევას. ძირითადი მიზეზი კი ის იყო, რომ სახლების მშენებლობის დროს საკმარისი ყურადღება არ ექცეოდა სეისმური ზემოქმედების ხასიათს და კედლების ამოყვანის დროს მათი სათანადო ზიდვითუნარიანობის უზრუნველყოფას, ასე იყო ჩვენთანაც.

მიწისძვრისას ზარალისა და მსხვერპლის რაოდენობა ძირითადად დამოკიდებულია არსებულ შენობა-ნაგებობათა სეისმომედეგობის რეალურ (ფაქტიურ) დონეზე. მაგალითად, ზემოთხსენებული კალიფორნიის მიწისძვრის სიმძლავრე იყო 7,1 ბალი რიხტერის სკალით, ხოლო სპიტაკში არ აღემატებოდა 6,9 ბალს მაშინ, როცა ზარალი და მსხვერპლი სომხეთში შედარებით დიდი იყო.

საქართველოში მასალების და კონსტრუქციების ნატურაში გამოცდის შედეგად ვასკვნით, რომ იმ შენობებმა, სადაც დამაკმაყოფილებლად იყო დაცული მოქმედი ნორმების მოთხოვნები, სტიქიას გაუძლო.

ჩვენთან ყოველწლიურად ათობით დიდი და პატარა წყალმოვარდნები, ღვარცოფები, მეწყრები ჩვეულებრივ მოვლენებად იქცა. ისინი ხშირად გამოუსწორებელ ზიანს აყენებენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებს—აჭარას, აფხაზეთს, მათ მშვენიერ ბუნებას, ეკოლოგიურ მდგომარეობას, საგანგაშოა, რომ არა ერთი ადამიანი იმსხვერპლა გამძვინვარებულმა სტიქიამ.

ამ უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა უბედურებებმა—წყალდიდობამ, ღვარცოფებმა, მეწყრებმა გამოააშკარავეს ნაკლოვანებები, რომელიც თან ახლავს სტიქიისაგან დაცვის ღონისძიებების განხორციელებას. მოსახლეობას, რომელიც მდინარის პირას ან ფერდობზე დასახლდა, მიაჩნია, რომ მის მიერ დაკავებულ ტერიტორიას არ ემუქრება წყალმოვარდნა, ღვარცოფი, მეწყერი, უმეტეს შემთხვევაში უბედურება სწორედ ასეთი გულდაჯერებულობის გამო ხდება.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სტიქიის მასშტაბები არ მცირდება და მისგან მიყენებული ზარალი ბევრ განვითარებულ ქვეყანაში უკანასკნელ ხანებში იზრდება და ზოგჯერ ძალიან სწრაფადაც. ეს განსაკუთრებით ეხება მჭიდროდ დასახლებულ ურბანიზებულ ქვეყნებს. სამწუხაროდ საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს, მაშინაც კი, როცა სათანადოდ ხორციელდება სტიქიის საწინააღმდეგო ღონისძიებები!

გამოცდილება გვკარნახობს, რომ უბედურების მეორე დღიდანვე უნდა ვემზადებოდეთ მომავალი სტიქიის უვნებელსაყოფად, რადგან ამ მოვლენის განმეორების ალბათობის მთლიანად გამორიცხვა ამჟამად არავის ძალუძს.

**გრიშა ჩიქოვანი,**
ცაგერის რაიონის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეკლესიის კალენდარი

## 1 9 9 3

(თარიღები მითითებულია ძველი სტილით, ფრჩხილებში — ახალი სტილით).

ქვეყნის დასაბამიდან 7597 წელი.
ინდიქტიონი — XV
ქორონიკონი — 149.
საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებიდან (326) — 1667 წელი.
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაარსებიდან (468) — 1526 წელი.
წელიწადი მცხრალია და შეიცავს 365 დღეს.

### საეკლესიო სამახსოვრო დღეები

12 (25 მარტი) — საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე (1917 წელი).
25 დეკემბერი (ახ. სტ) — ინტრონიზაციის დღე უწმინდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II (1977წ).
2 აგვისტო (ახ. სტ) — ანგელოზის დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II.

### უდიდესი საეკლესიო დღესასწაულები

**ბრწყინვალე აღდგომა** უფლისა ღვთისა და მაცხოვარისა ჩვენისა იესო ქრისტესი — 5(18) აპრილი.
**მირქმა** უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი — 2(15) თებერვალი.
**ხარება** ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა — 25 მარტი (7 აპრილი).
**ფერისცვალება** უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი — 6(19) აგვისტო.
**მიძინება** ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა — 15(28) აგვისტო.
**შობა** ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა — 8(21) სექტემბერი.
მსოფლიო **ამაღლება** პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა — 14(27) სექტემბერი.
**ტაძრად მიყვანება** ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა — 21 ნოემბერი (4 დეკემბერი).
**ხორციელად შობა** იესო ქრისტესი — 25 დეკემბერი (7 იანვარი).

### დიდნი დღესასწაულნი

წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ხსენება წმინდა ბასილი დიდისა — 1 (14 იანვარი).
შობა იოანე ნათლისმცემელისა — 24 ივნისი (7 ივლისი).
ხსენება თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი — 28 ივნისი (12 ივლისი).
თავისკვეთა იოანე ნათლისმცემელისა — 29 აგვისტო (11 სექტემბერი)
საფარველი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა მარიამისა, მცხეთობა-სვეტიცხოვლობა — 1 (14) ოქტომბერი.
ხსენება წმინდისა დედისა ჩვენისა ნინო ქართველთა განმანათლებლისა — 14 (27) იანვარი და 19 მაისი (1 ივნისი).

### გარდამავალნი

### დღესასწაულნი

ღირსისა მამისა ჩვენისა შიომღვიმელისა - ყველიერის ხუთშაბათს.
თეოდორე ტირონისა, თევდორობა — დიდმარხვის პირველ შაბათს.
წმ. გრიგოლ პალამასი თესალონიკელ მთავარეპისკოპოსისა — დიდმარხვის მეორე კვირას.
ღირსისა მამისა იოანე კლემაქსისა — დიდმარხვის მეოთხე კვირას.
ღირსისა დედისა მარიამ მეგვიპტელისა — დიდმარხვის მეხუთე კვირას.
მართლისა ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება — ბზობის წინა შაბათს.
გამოცხადება ივერიის ღვთისმშობლის ხატისა — ბრწყინვალე შაბათს.
მენელსაცხებლე დედათა - აღდგომიდან მესამე კვირას.
წმ. კეთილმსახურისა თამარ მეფისა — მენელსაცხებელთა კვირას და 1 (14) მაისი.
წმიდისა მართლისა ტაბითასი — განრღვეულის კვირას.
ღირსისა მამისა ჩვენისა დოდო გარეჯელისა — ამაღლების შემდგომ ოთხშაბათს.
ღირსისა მამისა დავით გარეჯელისა — ამაღლების შემდგომ ხუთშაბათს.
ხსენება ყოველთა წმიდათა — სულთმოფენობის. სწორ კვირას.

### მარხვების დასაწყისი

დიდი მარხვა — 16 თებერვალი (1 მარტი).
პეტრე-პავლობის მარხვა — 1(14) ივნისი.
მიძინების მარხვა — 1(14) აგვისტო.
შობის მარხვა 15(28) ნოემბერი.

### ერთდღიანი მარხვები

ყოველი შვიდეულის ოთხშაბათ-პარასკევს, გარდა მსგეფსისა.
ნათლისღების წინა დღეს — 5(18) იანვარს — მკიმე მარხვა.
იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეს — 29 აგვისტოს (11 სექტემბერი) — მკიმე მარხვა.
ჯვართამაღლების — 14 (27) სექტემბერს — მკიმე მარხვა.

### მსგეფსი

(ოთხშაბათს — პარასკევს ხსნილი).
შობიდან ნათლისღებამდე — 25 დეკემბრიდან (7 იანვარი) 4(17) იანვრამდე.
მეზვერისა და ფარისევლის შვიდეულში — 26 იანვრიდან (8 თებერვალი) 1(14) თებერვლამდე.
ყველიერის შვიდეულში (ყველით და კვერცხით) — 9 (22)-დან 15 (28) თებერვლამდე.
ბრწყინვალე შვიდეულში 6(19) აპრილიდან 12(25) აპრილამდე.
სულთმოფენობის შვიდეულში — 25 მაისი (7 ივნისი)-დან 31 (13 ივნისი) მაისამდე.

### მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები

ხორციელის შაბათი 7 (20) თებერვალი.
დიდმარხვის პირველი შაბათი — 22 თებერვალი (7 მარტი).
დიდმარხვის მეორე შაბათი 28 თებერვალი (13 მარტი).
დიდმარხვის მესამე შაბათი — 7(20) მარტი.
დიდმარხვის მეოთხე შაბათი — 14 (27) მარტი.
ბრწყინვალე შვიდეულის ოთხშაბათი — 8 (21) აპრილი.
სულთმოფენობის წინა შაბათი, სულის შაბათი — 23 მაისი (5 ივნისი).
დიმიტრის შაბათი — 17 (30) ოქტომბერი.

## კალენდარი დიდმარხვაში

21 თებერვალი (6 მარტი) — ხსენება დიდმოწამე თეოდორე ტირონისა, მიცვალებულთა ხსენება.
28 თებერვალი (13 მარტი) — მიცვალებულთა ხსენება.
1 (14) მარტი — ხს. წმინდა გრიგოლ პალამასი თესალონიკელ მთავარეპისკოპოსისა.
7 (20) მარტი — მიცვალებულთა ხსენება.
11(24) მარტი — განზოგება დიდი მარხვისა.
12 (25) მარტი — საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიის აღდგენის დღე. ხსენება წმ. მეფე დიმიტრი თავდადებულისა (1289).
14 (27) მარტი — მიცვალებულთა ხსენება.
15 (28) მარტი — ხს. ღირსისა მამისა იოანე კლემაქსისა.
21 მარტი (3 აპრილი) — ღვთისმშობლის დაუჯდომელის შაბათი.
22 მარტი (4 აპრილი) — ხს. ღირსისა მარიამ მეგვიპტელის.
25 მარტი (7 აპრილი) — ხარება ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულის მარიამისა.
26 მარტი. (8 აპრილი) — კრება მთავარანგელოზ გაბრიელისა.
28 მარტი (10 აპრილი) — ლაზარეს შაბათი. აღდგინება მართლისა ლაზარესი. ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი. უქმე ყოველთა. ხსნილი თევზით. ხსენება წმ. იოანე მანგლელისა, ღირსისა ილარიონ ახლისა.
29 მარტი (11 აპრილი) — დიდებით შესვლა იერუსალიმში იესო ქრისტესი. ბზობა.
30 მარტი (12 აპრილი) — ვნების შვიდეული. დიდი ორშაბათი.
31 მარტი (13 აპრილი) — დიდი სამშაბათი.
1 (14) აპრილი — დიდი ოთხშაბათი.
2 (15) აპრილი — დიდი ხუთშაბათი, ხსენება საიდუმლო სერობისა.
ხსენება წმ. გიორგი მაწყვერელისა.
3 (16) აპრილი — დიდი პარასკევი. ხს. წმ. მხსნელთა ვნებათა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მკიმე მარხვა.
4 (17) აპრილი — დიდი შაბათი.
**5 (18) აპრილი — ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი.**
6 (19) აპრილი — ორშაბათი ბრწყინვალე შვიდეულისა. მიცვალებულთა ხსენება. საფლავთა კურთხევა.
12 (25) აპრილი — ახალი კვირა. აღდგომის განახლება. კვირაცხოვლობა.

### ათორმეტთაგან მოძრავნი

**ბზობა.** დიდებით შესვლა იერუსალიმში უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი — 29 მარტი (11 აპრილი).
**ამაღლება** უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი — 14(27) მაისი.
**სულთმოფენობა.** სულიწმიდის გარდამოსვლა — 24 მაისი (6 ივნისი).

### ათორმეტთაგან უძრავნი

**ნათლისღება.** განცხადება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი — 6(19) იანვარი.

---

## აქციის მფლობელთა საყურადღებოდ!

იმ პირებს, რომლებსაც შეძენილი აქვთ აგრომრეწვბანკის აქციები, ვთხოვთ მიმდინარე წლის 1 მარტიდან გამოცხადდნენ აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილებაში დარიცხული დივიდენდის (მოგების) მისაღებად. ბანკი კვლავ აგრძელებს აქციების მიყიდვას მოსახლეობაზე წლიური 40% დივიდენდის მიღებით.

**ჩვენი მისამართია: ქ. ცაგერი, თამარ მეფის ქ. №31 აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილება.**

---

## გილოცავთ

**მაია გენდელიანს, გია ციხელაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. გამრავლდით და გაიხარეთ.
**ფატი, ნატო, იმედა გენდელიანები.**

**მაია გენდელიანს, გია ციხელაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. მტკიცე და ფუძემლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.
**ფატი და ზაზა ყურაშვილები.**

**ლია, ზაურ ახვლედიანებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
**ელიშუქ ახვლედიანი ოჯახით.**

**მაია კვირკაშვილს, სოზარ ახვლედიანს**
გილოცავთ პირველი შვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქართველი ქალი.
**ალუდა, ლაშა კვირკაშვილები.**

**ცაგუ, ნოდარ მუშკუდიანებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
**სერაპიონ, გელა ახვლედიანები ოჯახებით.**

**ციცინო ფანჯარაძეს**
გილოცავთ დაბადების დღეს. იხარე და იმრავლე საყვარელ ქმარ-შვილში. ღმერთი იყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი.
**აზა, მიმოზა, ლეილა, საშა, ნათელა, მანანა, ნანი, ლია, მზია, ნინო, ლილი.**

**მამუკა ლაკვეხელიანს**
გილოცავთ დაბადების დღეს. ყველა წმინდა სალოცავი და კეთილი სურვილი ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი.
**ღვირიშის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი ლეილა ფრუიძე.**

**ელიკო ზურაბიანს**
გილოცავთ დაბადების დღეს. სიხარულიანი დღეები არ მოგაკლოს მაღალმა ღმერთმა.
**ფატიმა, ლია, მზია.**

დედა ნელი, მამა ჟორა, ბებია თამარი, და ლია, ძმები მიშა, მურმან სილაგაძეები, სიძე ლევან სილაგაძე, დისშვილები მარიკა, თამრიკო, სოფიკო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მურად ჟორას ძე სილაგაძე.**

დაკრძალვა 27 თებერვალს შაბათს ქ. ცაგერში. გამოსვენება სოფელ ქვედა ცაგერიდან.

---

ბორის კაკრიაშვილი ოჯახით იუწყება ნათლულის

**მურად სილაგაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

სარდიონ ფუტკარაძე, დავით სვანიძე, სულხან მინდაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიშა ბენიძე.**

---

ჯემალ კოპალიანი, როინ ბანძელაძე, შახმან სვანიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიშა ბენიძე.**

---

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზინა, სერნო ახვლედიანებს მამამთილისა და მამის

**სერგო მეგრელის**

გარდაცვალების გამო.

---

კაკო ბენდელიანი, ვალერი ჯიაძე, ენძელი ჟურასპედიანი, მურთაზ ლეთოდიანი თანაუგრძნობენ ოჯახს

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

დისშვილები გული, ამირანი, ნაირა, ლალი, ნათელა, ზაზა, ვაჟა, რევაზი, სიძეები შალვა ნემსწვერიძე, ბიჭიკო ჭაფოძე, ალექსანდრე კოპალიანი, პაატა არდანიანი, აბესალომ ჩანქსელიანი, როინ ცხვედიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**იური (რომან) სამსონის ძე ჩარკვიანის**

გარდაცვალებას.

---

კავშირგაბმულობის ორბელის განყოფილების, შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ფაქიზო გვიშიანს დედამთილის

**ვერა გვიშიანის**

გარდაცვალების გამო.

---

თენგიზ, ფატი მეშველიანები თანაუგრძნობენ ლამარა ხმელიძეს ბიძის და ელისო გოქაძეს მამამთილის

**მურმან თოდუას**

გარდაცვალების გამო.

---

ქვედა ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანა ხეცურიანს ბაბუის

**უჩა გოლეთიანის**

და ლალი ხმელიძეს ბიძის

**მურმან თოდუას**

გარდაცვალების გამო.

---

ამირან ჭაბუკიანი ოჯახით იუწყება

**მურად სილაგაძის**

გარდაცვალებას.

---

შვილები შოთა, მიშა, ნანული, მერი, გრიშა ჩარკვიანები, რძლები ნორა, ლოლა, მერი, სიძეები ბივი თვარაძე, პავლაქტიონ ჩხეტიანი, და გოგუცა, ძმისშვილები, დისშვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნინა ნესტორის ასული ახვლედიანი-ჩარკვიანი.**

დაკრძალვა 25 თებერვალს ხუთშაბათს სოფ. ლარჩვალში გამოსვენება 15 საათზე სოფ. მახაშიდან.

---

შოთა ჩარკვიანი ოჯახით იუწყება ძმის

**იური ჩარკვიანის**

გარდაცვალებას.

---

რაიონის განათლების განყოფილება მწუხარებით იუწყება ალპანის საშუალო სკოლის დამსახურებული პედაგოგის

**ვახტანგ სანიკიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

რაფიელ, მამუკა ჩხეტიანები, მურმან გულბანი, გრიშა, გივი, ზურაბ ახვლედიანები, რაუდენ ხეცურიანი, კაკო, არსენ ყურაშვილები, ლადო ხმელიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სონა ჩხეტიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

თანაკლასელები იუწყებიან

**მურად სილაგაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

გუჭუ, ზინა გურულები, შალვა ყურაშვილი, ნეოლინე გოლეთიანი, როინ, შოთა სალინაძეები, გრიშა ბენდელიანი, გრიგოლ ლიპარტელიანი, ბიჭიკო ბერიძე, ჯემალ მუსელიანი თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

თამაზ ყურაშვილი, ზაურ კვირკაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ამბერკი სილაგაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

კუკური, გურამ ბერიძეები, ნინო, გოჩა აბულაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯაბო, გია დავითულიანები, ვახტანგ ომანაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ კოპალიანი, ჯონი ნემსწვერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები სერნო, შოთა, ბიჭიკო, რძლები ზინა, ლეილა, ცოლისდა ნინა, ცოლისძმები სამსონი, ინდიკო, რძლები ბაბუცა, მედიკო, შვილიშვილები მაია, ნანა, ავთო, დათო, მირზა, გიო, სიძე ჟორა გუგავა, რძლები ზოია, ცირა, თამრიკო, შვილთაშვილები ირინე, მალხაზი, ბექა, ანი, შოთიკო, ცოლისძმისშვილები, ცოლისდისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სერგო თედორეს ძე მეგრელი**

---

ნოდარ კოპალიანი, ნოდარ კენჭაძე, დემურ მურცხვალაძე ოჯახებით იუწყებიან

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალებას.

---

რეზო ბენდელიანი თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ბიქტორ, დავით, სოზარ, ალექსანდრე ცვარიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის 1987 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ზაალ ჩაკვეტაძეს მამის

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ენერგოზედამხედველობის უბნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დადაში ჩაკვეტაძეს ძმის

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ელეონორა, ანზორ კვირკაშვილები, მაია, გაკო შკუბულიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზურაბ ჩაკვეტაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შოთა მურცხვალაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გივი ასათიანი, დათო მიქაძე, ვილგემ, ბიტუ მეშველიანები, მურთაზ მურცხვალაძე, ჟორა ახვლედიანი, გურამ კოპალიანი, ჟორა ბენდელიანი, დათო მუშკუდიანი, ზაალ სვანიძე, ანზორ სალინაძე, დათო გიორგელიძე თანაუგრძნობენ ლია, ჯულიან ახვლედიანებს ბიძის

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შალვა, ჯუმბერ, ნოდარ ცვარიანები ოჯახებით იუწყებიან

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფალს.

---

ცაგერის სახანძრო რაზმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დადაში ჩაკვეტაძეს ძმის

**ზურაბ არტემის ძე ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ბაბუცა მუშკუდიანი, შვილები მადონა, მირიანი, სიძე ბესიკ მუკბანიანი, შვილიშვილი მარიამი, მამიდაშვილები ლუბა, სარდიონ ფუტკარაძეები, ბიძაშვილები ვერა, სერნო, მარო, ზაური, ცოლისდა იულია, ცოლისძმები ჟორა, ვაჟა, ანზორი, რძლები მაყვალა ელიავა, ბაბუცა კოპალიანი, ნათელა გოგოხიძე იუწყებიან

**გრიგოლ (გრიშა) კოსტას ძე ბენიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 თებერვალს შაბათს სოფ. ზუბში.

---

უახლოესი მეზობლები იური ბენდელიანი, მალაქი ლიპარტელიანი, შურა ბერიძე, ზაურ ჩიქოვანი, ზაურ მუშკუდიანი, ლუდუკი ბენიძე თანაუგრძნობენ გუგული, სოსო ლეთოდიანებს ძმისა და ბიძის

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის მე-IX-ბ კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მაყვალა კოპალიანი თანაუგრძნობენ მერაბ სილაგაძეს ვების

**თამარის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები გრიშა სილაგაძე, სოსო თვარაძე, ბესიკ ბენდელიანი, ავთო ეფაძე, რობერტ, ბორის, ზაურ კვირკაშვილები, ჯიბილო, თენგიზ, ზურიკო მეშველიანები, აჩიკო, დათო მურცხვალაძეები, ჯანიკო ჩაფიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნელი ფოჩხიძეს

**კოგა გვიჭიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვაჟა ხალიანი ოჯახით თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

**გრიშა ბენიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ინდისი ყურაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ია და ჟორა ნემსწვერიძეებს დედისა და სიდედრის

**ნადია მიქელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

იური ჩხეტიანი, ოლია კვირკაშვილი, ავთო ჩორგოლიანი, ზაირა სილაგაძე, დათო ხეცურიანი, კარლო ჩაკვეტაძე, მურად ლიპარტელიანი, ჟენია ხეცურიანი, დავით ყურაშვილი, დათო სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ციალა გოქაძეს მეზობლის

**მურმან თოდუას**

გარდაცვალების გამო.

---

იზოლდა კაჭკაჭაშვილი, გული ახვლედიანი, მარინე შკუბულიანი, მირანდა, ავთანდილ ხაბულიანები, ბორის, ამირან ხეცურიანები, ზურაბ ბენდელიანი, გოგი კოპალიანი, ვალერი ლეთოდიანი, ჯამლეთ ნემსაძე, შოთა ლარცულიანი, თამაზ თაგვაძე თანაუგრძნობენ ოჯახს

**მურად სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ვახტანგ [illegible] ძე სანიკიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ლელა, გია გოდერიძეები, მაყვალა, გოჩა მუშკუდიანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მურად სილაგაძე.**

---

ცაგერის საშუალო სკოლის X-ა-ბ კლასების მოსწავლეები, კლასების ხელმძღვანელები თანაუგრძნობენ ნინო ფოჩხიძეს დეიდაშვილის

**კოგა გვიჭიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გუჭუ ფუტკარაძე, რეზო ბენდელიანი, ომარ, ელგუჯა ლიპარტელიანები, ელგუჯა, მევლუდ ლეთოდიანები, ომარ ჟარულავი, მარგალიტა შკუბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**მურად სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვიორგი შათირიშვილი, ჯულიან ახვლედიანი, გრიგოლ ახვლედიანი, უშანგი კვირკაშვილი, სოსო ლეთოდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზურაბ არტემის ძე ჩაკვეტაძე.**

---

რაიონის პროკურატურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზაალ ჩაკვეტაძეს მამის

**ზურაბის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის დაზღვევის ფირმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თემურ ჩაკვეტაძეს ბიძის

**ზურაბის**

გარდაცვალების გამო.

---

სოფელ ჩხუტელის ახალგაზრდობა იუწყება, რომ გარდაიცვალა

**იური სამსონის ძე ჩარკვიანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ბიზო, ბელა, ბორის, ალექსანდრე გოლეთიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ზურაბ ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

უნივერმაღის, წიგნის მაღაზიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მედიკო მურცხვალაძეს დეიდაშვილის

**იური ჩარკვიანის**

და ზაირა სილაგაძეს დეიდის

**ლუბას**

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ შურა ლაკვეხელიანს დის

**ლუბა ლაკვეხელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

თანაკურსელები თანაუგრძნობენ მურმან სილაგაძეს ძმის

**მურად სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. № 56.

ტელეფონები: რედაქტორის—22-31, საერთოს— 22-43; სტამბის დირექტორის—22-17.

ტირაჟი 1244. შეკვეთა №2.

ცაგერის რაიონული სტამბა.